

საქართველოს კანონმდებლობა
კორპორაციების საწესდებო კაპიტალის სისტემასთან მიმართებაში:
პერსპექტივები და საერთაშორისო გამოცდილება

ქეთევან ამირანის ასული გოდოლაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის სკოლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ერეკლე კალატოზიშვილი, სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარსადგენ მასალებს, რომელებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების დაცვით.

ქეთევან ამირანის ასული გოდოლაძე /

/ 01.07.2019

აბსტრაქტი

რეალობა, რომელშიც დღეს ვიმყოფებით უამრავ სფეროს მოიცავს. თითოეული მათგანი ერთმანეთთან ჯაჭვური რეაქციითაა დაკავშირებული. ამ ჯაჭვის შემადგენელი ნაწილებია: იურისპრუდენცია და ეკონომიკა. ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის აუცილებელია მყარი საინვესტიციო გარემოს არსებობა. ამ გარემოს სამართლებრივი მართებულობა კი სახელმწიფოს კანონმდებლობაზეა დამოკიდებული. შესაბამისად, უნდა არსებობდეს გამართული სამართლებრივი ნორმები, რათა მივიღოთ სანდო საინვესტიციო სივრცე.

სიახლე არ უნდა იყოს რომ ინვესტორები, მეტწილად, კორპორაციებში ახდენენ თავიანთი ინვესტიციების დაბანდებას. იმისთვის რომ შეიქმნას კორპორაცია პირდაპირმნიშვნელოვანია საწესდებო კაპიტალის არსებობა. კრედიტორებს სწორედ მისი არსებობა აძლევთ იმედს დააბანდონ თანხა აღნიშნულ საწარმოში. ამისათვის აუცილებელია რომ ქვეყანას თავის სამართლებრივ სფეროში კანონის დონეზე გაწერილი ქონდეს საწესდებო კაპიტალის სისტემასთან დაკავშირებული თითოეული დეტალი. მსგავსად დაცული საწესდებო კაპიტალის სისტემის არსებობა კი უპირველეს ყოვლისა შექმნის ჯანსაღ კორპორაციებს - ჯანსაღი ურთიერთობებით.

ნაშრომის მიზანი იყო გამოეკვლია რამდენად არის საქართველოს კანონმდებლობით დაცული ხსენებული სისტემა. კვლევა მივიდა იმ დასკვნამდე რომ აუცილებელია საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით მოხდეს ამ ნაწილში კანონმდებლობის მეტად დახვეწა.

მოცემული ნაშრომის შედეგების გათვალისწინებით მივიღებთ სამართლებრივად გამართულ ეკონომიკურ გარემოს, რომელიც ერთმნიშვნელოვნად სახელმწიფოს წინსვლას ემსახურება.

ძირითადი საძიებო სიტყვები: საწესდებო კაპიტალი, კორპორაცია, აქცია, აქციონერი, კრედიტორი.

Abstract

The reality which we are facing today encompasses lot of fields. Each of those fields is conected to one another with chain reaction. Components of this chain are : Jurisprudence and Economics. To improve country's economic conditions it is crucial to have solid investment environment. State legislation is what governs legal rights of this environment. Consequently, there shoud be a set of legal norms to get a reliable investment space.

It shoudn't be a surprise that investors, in most cases , allocate their finances in the corporations. To create a corporation it's extremely important to have authorized capital. This is one of the most important indicators for Creditors to consider when they are making investment decision. Therefore, it's vital that the country has strong legal structure, related to this sector, to determine the details of the authorized capital. Similarly, the existence of a securities capital system primarily creates healthy corporations with advanced relationships.

The purpose of this paper was to examine how much protected the system is by the legislation of Georgia. In conclusion, it's necessary to undertake international experience to enhance the legislation in this sector.

If we take into consideration the results of this work, we'll get a legally equipped economic environment, which is higly correlated to the country's better future.

Key words: Authorized capital, Corporation, share, shareholders, Creditor.

მადლობა

სიმულაციური სამაგისტრო ნაშრომით არსთაგამრიგემ მადლიერება მასწავლა. სამაგისტრო ნაშრომით კი ყველაზე დიდ მტერთან - საკუთარ თავთან დამაპირისპირა. საუბარი და მით უფრო წერა, მხოლოდ მაშინ მიყვარს, როცა საგულდაგულოდ ვარ დარწმუნებული თითოეული ჩემი სიტყვის სიმართლეში. ზუსტად ამან დაბადა განუზომელი სირთულე ჩემსა და სამაგისტროს შორის. ის კი ვიცი, რომ ვეცადე ჩემი მდგომარეობის ფონზე მაქსიმალურად მეშრომა, მაგრამ რაც შეეხება შედეგს მას ჯერ მამაზეციერს, ხოლო შემდეგ თქვენ მოგანდობთ. შემოწმებისთვის გახარჯული დროისთვის კი მადლობას მოგახსენებთ. ეს იყო ყველაზე სამახსოვრო მოგზაურობა, რომლის ელფერიც სამუდამოდ გაყვება ჩემი სიცოცხლის დარჩენილ დღეებს.

ამ მოგზაურობისას აურაცხელი თანადგომა მიწილდა უამრავმა ადამიანმა. სიის თავში ის ყოველდღესთან მშრომელი დედაჩემი - მარინე თენგიზის ასული კაკიტაძეა, რომელმაც გამოუთქმელი ფინანსური თუ მორალური მხარდაჭერის ღირსი გამხადა. მუდმივი მოტივაციისა და გენეტიკური დამაჯერებლობისთვის, მადლობას „ვუგზავნი“ ამერიკაში მსწავლელ-მსწავლებელ ჩემ ერთადერთ ძმას, გორდა ამირანის ძე გოდოლაძეს. კულმინაციური მოტივის მონიჭებისთვის მადლიერებით სავსე ვარ ღირსეული ქართველისა და საპატიო ადამიანის, ბატონო სოსო ასათიანის მიმართ.

ოსტატურად გაწეული პროფესიული თუ მოტივირებადი მხარდაჭერისთვის, აბსოლიტურად სამართლიანი მადლიერება, ლექტორებს: ერეკლე კალატოზიშვილს, ნათია ქასრაშვილს, დემეტრე გრიგალაშვილსა და ნათია სალინაძეს.

საბოლოო მადლობა კი ჩემ სამარადყამო მოტივატორს, ჩემ მამიტონას - ამირან რადიშას ძე გოდოლაძეს. მართალია მან ამ სამყაროსთვის დაუშვებლად მგრძნობიარე გული მისახსოვრა, თუმცა სწორედ მისი წყალობით მომცა უნარი ყველა განსაცდელის დროს არათუ გავექცე, არამედ რაც შეიძლება მეტად დავუახლოვდე უფალს. ჰოდა, დაე, გვფარავდეს უზენაესი!